ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 31
06/08/2021

31-04-4-202108061157

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
იმ შენობა–ნაგებობების განსაზღვრის შესახებ,
სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების
(სააგიტაციო მასალის) განთავსება

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე–2 და მე-4 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნებისათვის განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იმ შენობა–ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა, თანახმად დანართი №1-სა.
2. საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა აკრძალულია განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში მოცემულ საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებისა და ექსტერიერებში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საგზაო ნიშანზე.
3. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
4. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.gov.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა–ნაგებობების განსაზღვრის შესახებ, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 04 სექტემბრის №35 განკარგულება.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე